



წა ჴფრემ ასური

ფარის-ცვალებისათჳს იესუ ქრისტის უფლისა ჩუენისა მთასა გელა თაბორსა\*

გარაკისაგან არნ მკად სინარუ-  
 ლისაჲ და ვენა ცისაგან — ნაყო-  
 ფი ჭამადთად, ხოლო წიგნთაგან  
 — სწავლად ცხორებისაჲ. **ტგა-**  
 რაკი ერთსა ხოლო ჟამსა მოიმკის, ხოლო წიგნ-  
 ნი მარადლე მოისთულებიან, და ტევეანნი იგი სა-  
 სოებისანი, რომელნი არიან მათ შინა, არა  
 დაილევიან. **სწ** მოვედით და მივეახლნეთ ამას  
 აგარაკსა და განვძღუეთ ჳნვისა მისგან განმაცხო-  
 ველებელისა და მოვიმკოთ მისგან მჭლეული ცხ-  
 ორებისაჲ, რომელ არიან სიტყუანი უფლისა ჩუ-  
 ენისა იესუ ქრისტესნი, რომელსა-იგი იტყოდა,  
 ვითარმედ: «არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი,  
 რომელთა არა იხილონ გემოდ სიკუდილისაჲ,  
 ვიდრემდე იხილონ ძმ კაცისაჲ მომავალი დიდებ-  
 ითა თჳსითა» (მთ. 16,28; მრკ. 9,1; ლუკ. 9,27). «**სა**  
 შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა **სიმონ-**  
**პეტრე, იაკობ და იოვანე,** ძმაჲ მისი, და აღიყვან-  
 ნა იგინი მთასა ფრიად მაღალსა **თაბორსა** და  
 ფერი იცვალა წინაშე მათსა, და განბრწყინდა  
 პირი მისი, ვითარცა მზე, და სამოსელი მისი  
 იქმნა, ვითარცა თოვლი» (მთ. 17,1-2; მრკ. 9,2-3;  
 ლუკ. 9,28-29).

ზაცნი იგი, რომელთათჳს თქუა, ვითარმედ  
 «არა იხილონ გემოდ სიკუდილისაჲ, ვიდრემდის  
 იხილონ სახმ მოსლვისა მისისაჲ», ესე არიან სამ-  
 ნი იგი მოციქულნი, რომელნი აღიყვანნა მთად და  
 უჩუენა მათ სახმ იგი მეორედ მოსლვისა მისისაჲ  
 დიდებითა ღმრთეებისა მისისაჲთა, და ჳორცითა  
 კაცებისა მისისაჲთა; აღიყვანნა იგინი კუალად  
 მთად, რადთა უჩუენოს მათ, ვითარმედ ვინ არს ძმ  
 და ვისი ძმ არს იგი, რამეთუ ოდეს-იგი ჰკითხვიდა  
 მათ: «რად თქუან ჩემთჳს კაცთა, ძისა კაცისათჳს»,  
 ხოლო მათ ჰრქუეს: «რომელთამე **ელაია,** რომელთ-  
 ამე **იერემია** გინა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი»  
 (მთ. 16,13-14; მრკ. 8,27-28; ლუკ. 9,18-19). **სმისთჳს**  
 აღიყვანნა იგინი მთად და აჩუენა მათ, ვითარმედ  
 არა არს იგი **ელაია,** არამედ ღმერთი **ელაიამი,** და

10 არცა კუალად **იერემია,** არამედ რომელმან-იგი  
 აკურთხა **იერემია** საშოსა შინა (იერ. 2,5). **სა** არ-  
 ცალა სხუად ვინ წინაწარმეტყუელთაგანი, არამედ  
 უფალი წინაწარმეტყუელთად და მომავლინებელი  
 მათი.

15 **სა** კუალად უჩუენა მათ, ვითარმედ იგი არს  
 დამბადებელი ცისაჲ და ქუეყანისაჲ და უფალი  
 ცხოველთად და მკუდართად. **ღბრძანა** ცასა და  
 გარდამოიყვანა **ელაია;** წამ-უყუნა ქუეყანასა და  
 აღადგინა **მოსე.** **სა** კუალად აჩუენა მათ მიერ,  
 20 ვითარმედ იგი არს უფალი ცხოველთად და იგი  
 არს, რომელი აღადგინებს მკუდართა, ვინამთგან  
 აღადგინა **მოსე** მკუდრეთით.

**სა** კუალად აღიყუანნა იგინი მთად, რადთა  
 უჩუენოს მათ, ვითარმედ იგი არს ძმ ღმრთისაჲ,  
 25 რამეთუ უკუეთუმცა ჰრქუა მათ, ვითარმედ მე ვარ  
 ღმერთი ღმრთისაგანი, არა ვიდრემცა ჰრქმენა  
 ჳორცთა მათთჳს, რომელნი შეემოსნეს. **სა** იქცეო-  
 და მათ შორის, ვითარცა ერთი მათგანი, რამეთუ  
 ჰხედვიდეს **მარიაშ,** დელასა მისსა, და **იოსებს,**  
 30 რომელმან განზარდა იგი, რამეთუ მამად მისა  
 უწოდინ მას, და ძეთა **იოსებისთა** ქწოდა ძმა მისა.

**სა** კუალად მოემშია მას, ვითარცა მათ, და  
 ჭამა, და მოქწყურა და სუა, დაშურა და განის-  
 უენა, ჰრულოოდა და იძინა, შეემინა და ოფლი  
 35 გამოეცა. **სა** ესევეთარნი საქმენი არა შეჰმუენიან  
 ბუნებასა ღმრთეებისასა. **სა** ამისთჳს აღიყვანნა  
 იგინი მთად, რადთა ჳმა-უყოს მათ მამამან და აუ-  
 წყოს, ვითარმედ ძმ მისი არს იგი ჳემმარიტად.  
**სღიყვანნა** კუალად, რადთა უჩუენოს სუფევაჲ  
 40 მისი პირველ სიკუდილისა მისისა და ძალი მისი  
 პირველ ვნებისა თჳსისა და დიდებაჲ მისი პირველ  
 ვინებისა მისისა და პატვი პირველ შეურაცხ-  
 ებისა მისისა, რადთა რაჟამს შეიპყრას და ჯუარს-  
 ეცუას **ჳურიათაგან,** გულისხმა-ყონ, რამეთუ არა  
 45 უძლურებით ჯუარს-ეცუა იგი, არამედ ნეფსით  
 თჳსით ცხორებისათჳს სოფლისა.

**სა** კუალად უჩუენა მათ დიდებაჲ მისი პირველ

\* საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში II, გამოსცა ივ. შნაიშვილმა, თბ., 1966. [გ. 11-19. სადმოღებულია მრგლოვანი ნაბეჭდი ტექსტიდან.

აღდგომისა, რადთა ოდეს აღდგეს მკუდრეთით ბუნებითა ღმრთეებისა მისისადათ, გულისხმა-ყონ, ვითარმედ არა მოიღო დიდებამ იგი სასყიდლად შრომისა თვისისა, არამედ წინაჲე საუკუნეთა აქუნ- და მამისა თანა და მის მიერ, ვითარცა თქუა: «მა- 5 დიდე მე, მამაო, დიდებითა მით, რომელ მაქუნდა შენ თანა უწინარს სოფლის დაბადებისა» (ინ. 17,5). ოა დიდებამ ესე ღმრთეებისა მისისადა იყო დაფარულ კორცთა მათ შინა, და გამოუცხადა იგი მოციქულთა, რაჟამს აღიყვანნა იგინი მთად, 10 და იქმნა პირი მისი, ვითარცა მწმ, და სამოსელი მისი სპეტაკ, ვითარცა თოული.

ღრნი მზენი გამოჩნდეს: ერთი იგი — ბუნე- ბითი ესე, და მეორე ესე — თუნეირ ბუნებისადა; ერთი იგი, რომელ საჩინო არს მათა და ყოველსა სოფელსა ჰნათობს სამყაროსა ცისასა, და მეორე იგი მათ ხოლო გამოუბრწყინდა, რომელ არს პირი 15 იესუჲსი, და იტყვს: «იქმნა სამოსელი მისი სპე- ტაკ», რადთა მათ შორის აჩუენოს, ვითარმედ ყო- ელთა კორცთა მისთაგან აღმოსცენდების დიდებამ მისი, და ყოველთა კორცთა მისთაგან გამობრწყ- 20 ყინდა ნათელი მისი, და ყოველთაგან განბრწყინდა მაცხოვარებამ მისი, და არა ვითარცა-იგი მოსწმ კორცნი გარეშტო ხოლო განბრწყინდეს, არამედ კორცთა მისთაგან აღმოსცენდებოდა დიდებამ მისი და მათ შინაჲე დაადგრებოდა, და მათგან გამობრწყინდა ნათელი მისი და მას შინაჲე შეკრბა 25 და არცაღა კუალად ერთ-კერძო ოდენ იქმნა და სხვსაგან მოცალიერდა, რამეთუ არა სხვთ კერძო ვინადა მოვიდა მისა და შეამკო იგი და არცა უჩუენა მათ ყოველივე სიღრმშ დიდებისა თვისისადა, არა- მედ რაჲდენ შემძლებელ იყვნეს გონებანი თუალთა მათთანნი.

ოა ერუენეს მათ მოსე და ელია, ზრახვიდეს (მთ. 17,3; მრკ. 9,4).და ესრტთ იყო ზრახვად იგი მათი მისა მიმართ; აღიარეს, ვითარმედ მადლითა მისითა დაამტკიცა ზრახვად იგი წინაწარმეტყ- 30 უელთად მოსლვასა მას მისსა, და თაყუანის-ცემად შეწირეს ცსნისა მისთვს, რომელი განმზადა ნათე- სავისათვს კაცთადას, და საიდუმლოდ იგი, რომელ მათ გამოუცხადა, თვთ აღასრულა იგი საქმით, და სრულ იქმნა სიხარული წინაწარმეტყუელთად და მოციქულთად აღსლვასა ოდენ მის მთისასა. ო- 35 ნიხარეს წინაწარმეტყუელთა, რაჟამს-იგი იხილეს განკორციელებამ მისი, რომელ-იგი არა ეხილვა პირველად; და განიხარეს მოციქულთა, რაჟამს ესმა კმად წინაწარმეტყუელთად, რომელ-იგი არა ესმინა პირველად, და კმისაგან მამისა გულისხ- მა-ყვეს განკორციელებამ მისი, რომელ-იგი

იყო დაფარულ მათგან, რამეთუ ვერ შემძლებელ იქმნეს ცნობად განკორციელებასა მისსა, გარნა მამისაგან, რომელმან შვა იგი, და დაარწმუნა მათ კუალად კმასა მას თანა მამისასა დიდებამან 5 მანცა, რომელ გამოჩნდა კორცთა მისთა. ოა დაი- ბეჭდა წამებამ იგი სამთად მათ მოსწმ და ელიადას მიერ, რომელ-იგი დგეს, ვითარცა მონანი, წინაშე უფლისა თვისისა. ოა თითოეული მათი ჰხედვიდა მოყუასსა თვისსა: წინაწარმეტყუელნი მოციქულთა 10 ჰხედვიდეს და მოციქულნი — წინაწარმეტყუელთა. ოა მოსლვითა მით მათითა იესუჲსა გულისხმა- ყვეს მოციქულთა, ვითარმედ იესუ არს, რომელმან დაჰფლა მოსე, და იგივე არს, რომელმან ბრძანა და აღიყვანა ელია, რამეთუ არაჲინ იცოდა საფლაჲი 15 მოსწმი გარეშე მისა, რომელმანცა დაჰფლა იგი (2 შჯ. 33,5-6), და არცაღა კუალად იცოდა ვინ, სადა არს ელია, გარნა რომელმან ბრძანა აღყვანებამ მისი (4 მეფ. 2,11-17), და არცაღა შემძლებელ იყო მოყვანებად, გარნა უფალი ყოველთად, რომელსა 20 კვლმწიფებამ აქუს ჯოჯოხეთისადა და ზესკნელ- ცათად.

ოა მიჰხედეს ურთიერთას წინამძღუართა მათ ძუელისა შჯულისათა წინამძღუართა მათ ახლისა შჯულისათა. ოხილა წმიდამან მოსე სიმონ განმ- 25 წმედელად. ოხილა განმგებელმან მან მამისამან თანა-მყოფი იესუჲსი. ორთმან განაპო ზღუად, რად- თა ვიდოდის შორის ღელვათა მისთა, და მეორემან აღჰმართა კარავი, რადთა ეკლესიად აღაშწნოს. ოა ძუელისამან მან ქალწულმან მიჰხედა ახლისასა 30 მას ქალწულსა, ელია — იოჲანეს, რომელი ამ- აღლდა ეტლითა ცეცხლისადათა, მას, რომელი- იგი მიეყრდნა მკერდსა მას მოტყინარისასა. ოა იქმნა მთად იგი სახე ეკლესიისა, და შეაერთა იესუ ორნივე იგი აღთქუმანი, და ესრტთ შეიწყ- 35 ნარა ეკლესიამან, და გვცნობიეს, რამეთუ იგი არს მომცემელი ორთავე მათ აღთქუმათად: პირველსა მას იყუნეს საიდუმლონი მისნი, და მეორემან ამან გამოაჩინა დიდებულებამ საქმეთა მისთად.

ოა იტყვს სიმონ: «კეთილ არს ჩუენდა აქა ყო- ფად» (მთ. 17,4; მრკ. 9,5; ლუკ. 9,33). ოასა იტყვ, შ სიმონ? უკუეთუ დაჲადგრეთ აქა, ვინ აღასრულნეს სიტყუანი წინაწარმეტყუელთანი და სიტყუანი მქადაგებელთანი ვინ დაჰბეჭდნეს? საიდუმლონი მართალთანი ვინ აღასრულნეს? და უკუეთუ აქა 45 დაჲადგრეთ, ვის ზედა აღესრულოს სიტყუად იგი მეტყუელისადა მის, ვითარმედ: «განკურიტნეს კვლნი ჩემნი და ფერკნი ჩემნი და განიყვეს სა- მოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი» (მთ. 27,35; ინ. 19,24)? ვის ჰშუე-



ნოდის: «და მცეს მე საჭმლად ჩემდა ნაფლელი და წყურილსა ჩემსა მასუეს მე ძმარი» (ფს. 68,22)? ვის შეემთხვოს გინა მკუდართა თანა ვინ იცნობოს? უკუეთუ აქა დაფადგრეთ, ჴვლით-წერილი იგი ადამისი ვინ განხეთქოს? ანუ თანა-ნადები იგი მისი ვინ გარდაი ჴადოს და სიშიშველჴ იგი მისი ვინ დაფაროს? და უკუეთუ აქა დაფადგრეთ, ვითარ იყოს, რა-იგი გარქუ შენ, ანუ ვითარ აღეშწნოს შენ ზედა ეკლესიად? ანუ რასალა საჭმარ არიან შენდა კლიტენი იგი ზეცისანი, რომელნი მიიხუენ? გინა ვინ შეჴკრა, ანუ ვინ განჴჴსნა? უკუეთუ აქა დაფადგრეთ, ამო იქმნენ თქმულნი იგი.

თა კუალად ეტყოდა სიმონ იესუს: «უკუეთუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალაფარ: ერთი შენდა და ერთი მოსტსა და ერთი ელიადსა». სიმონ წარივლინა, რადთა აღაშწნოს ეკლესიად სოფელსა შინა, და აჴა ესერა მთასა ზედა აღაშწნებს კარვებსა, და ვიდრე აქამომდე კაცადლა ჴგონებდა იესუს პეტრე და მოსეს და ელიადს თანა შეჴრაცხდა. თა არუენა მას იესუ, ვითარმედ არა უჴმს კარავი იგი მისი, გულისხმა-ყო, რამეთუ მან განუშნადა მამათა მათ მისთა კარავი იგი ღრუბლისად ორმოც წელ უდაბნოსა ზედა.

თა ვიდრე-იგი ზრახვიდესდა, მყის «ღრუბელი ნათლისად აგრილობდა მათ» (მთ. 17,5; მრკ. 9,7; ლუკ. 9,34). თა ესერა ჴხედავს სიმონ კარავსა უშრომელსა! აჴა ესერა კარავი მაცენებელი სიცხისად, რომელსა შინა არა არს სიბნელჴ! აჴა ესერა კარავი მბრწყინვალჴ! და ვიდრე მოწაფენი განკვრევებულ იყვნეს, აჴა ესერა ჴმად ისმა ღრუბლით გამო, რომელი იტყოდა: «ეგე არს ძმ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ, მაგისი ისმინეთ». თა შემდგომად ჴმისა მის მიიქცა მოსე ადგილადვე თჴსა და ელია მიიქცა ჴუეყანადვე თჴსა, და მოციქულნი დაცჴვეს ჴირსა ზედა თჴსსა, და იესუ ზოლო დგა მარტოდ, რამეთუ ჴმად იგი მის ზედა ოდენ აღესრულა. ჴვლტოდეს წინაწარმეტყუელნი, და დაცჴვეს მოციქულნი, რამეთუ არა მათ ზედა აღესრულა ჴმად იგი, რომელი იტყოდა: «ეგე არს ძმ ჩემი საყუარელი, რომელი სათნო-ვიყავ, მისი ისმინეთ». თა მით სიტყვთა კუალად აუწყა მათ განსრულებად განგებულებისა თჴსისად მოსეს და ელიას და უბრძანა მათ მორჩილებად იესუდსი. თა აწ ნუ ვინმე იკადროს თქუმად: მოსე ესრე თქუა გინა ვგრჴთ, გინა ელია ესრჴთ თქუა გინა ვგრჴთ, რამეთუ მონანი არიან, და ვითარცა ებრძანა მათ, ვგრჴთცა იტყოდეს და კუალად ვგრჴთცა ჴადავებდეს.

ღსე არს იესუ უფალი და არა მონად, უფალი

არს, და არავინ მის ზედა უფლებს, დამბადებელი მჴულისად, და არა არს მის ზედა მჴუელი ბუნებასა მას ღმრთეებისა მისისასა. ჴსე არს ძმ საყუარელი. თა გულისხმა-ყვეს მოციქულთა, რომელი იგი დაფარულ იყო მათგან, და განაცხადა მამამან და აუწყა ნაშობი თჴსი. თა ჴმისა მისგან დაცჴვეს მოციქულნი ჴირსა ზედა თჴსსა, რამეთუ ჴუხილი იყო ღიდი, და მისვე ჴმისაგან შეიძრა ჴუეყანად ჴუეჴე ფერჴთა მათთა, და ივინი დაცჴვეს შიშისა მისგან, და რადთა არუენოს მათ, ვითარმედ გონებისაგან ღმრთეებისა მამისა თჴსისად არს იგი. თა მიეახლა მათ და უწოდა ჴმითა თჴსითა და აღადგინნა ივინი. თა ვითარცა-იგი ჴმამან მამისამან საშინელმან დასცნა ივინი, ვგრჴთვე ჴმამან იესუდსმან აღადგინნა ივინი ძალითა თჴსითა.

თიდებად ღმრთეებისა მისისად და ჴორცნი იგი კაცებისა მისისანი ერთითა ჴირითა განცხადნეს და არა იგი, ვითარ მოსე, გარეჴე ზოლო ბრწყინვიდა, არამედ ვითარცა ღმერთი ბრწყინვიდა დიდებითა, რამეთუ მოსეს ჴირი გარეჴით ოდენ ცხებულ იყო დიდებითა. ჴოლო იესუდსნი ყოველნი ჴორცნი ბრწყინვიდეს, და დიდებად ღმრთეებისად აგრილობდა მას, და ჴმა-უყო მამამან: «ესე არს ძმ ჩემი საყუარელი». თრა განემორა დიდებად ღმრთეებისა მისისად კაცებასა მისსა, არამედ ერთითა ჴმითა ჴმა-უყო, ჴორცითა მით სიმდაბლისადთა და დიდებითა საშინელითა. თა მარიამ ძედ უწოდა მას არა განშორებულად ჴორცთაგან კაცებისა მისისათა, დიდებისაგან ღმრთეებისა მისისა ერთ არს ჴორცითა და სოფელსა შინა გამოჩნდა დიდებითა თჴსითა და გამოაცხადა დიდებად ბუნებისა მის ღმრთეებისა თჴსისად, რომელ არს მამისაგან. თა კუალად გამოაცხადნა ჴორცნი კაცობრივისა მის ბუნებისა თჴსისანი, რომელნი არიან მარიამისგან, იგი არს მხოლოდ-შობილი მამისაგან და მარიამისგან. თა რომელი განჴყოფდეს, განემოროს იგი სასუფეველისაგან. თა რომელი უვარ-ჴყოფდეს, ვითარმედ მარიამ არა ღმერთი შვაო, არა იხილოს მან დიდებად იგი ღმრთეებისად. თა რომელი უვარ-ჴყოფდეს ჴორცთა შესხმასა, განშორებულ არს იგი ჴსნისაგან და ცხორებისა, რომელ მოცემულ არს ჴორცთა შესხმითა მისითა, რამეთუ საქმეთა მისთაგან საცნაურ არს, ვითარმედ ღმერთი არს ჴემმარითად, და ვნებანი იგი მისნი წამებენ, ვითარმედ კაცი არს ჴემმარითად, და ჴორცნი იგი, რომელ შეისხნა ასულისაგან, კაც იყვნეს. თა უკუეთუ არა ჴრწმენეს ესე უსუსურთა გონებითა, გულისხმა-ყავნ დამტკიცებად ამის საარებისაგან მჴსნელისა ჩუენისად.

ოკუეთუ არა კაცი იყო, **მარიამ** რადსათვს დაიდვა შორის, და უკუეთუ ღმერთი არა იყო, **გაბრიელ** ვის ჰხადოდა უფლით (ლუკ. 1,26-28)? უკუეთუ არა კაცი იყო, ვინ შეიხვა სახუეველითა (ლუკ. 2,7; 2:12,16), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ანგელოზნი ვისა დიდებად გარდამოვდეს (მთ. 4,11; მრკ. 1,13)? უკუეთუ არა კაცი იყო, ბაგასა შინა ვის ეძინა (ლუკ. 2,7), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, მწყემსთა ვის თაყუანის-სცეს (ლუკ.2,8-18)? უკუეთუ არა კაცი იყო, **იოსებ** ვის წინა-დასცვთა (ლუკ. 1,59), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ვასკულავი იგი ვისისა პატფისათვს რბიოდა ცათა შინა (მთ. 2,9)? უკუეთუ არა კაცი იყო, **მარიამ** ვის აწოვებდა სძესა (ლუკ. 11,27), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ვისა შეიწირა ძღუენი აღმოსავალით მზისადთ (მთ. 2,11)?

ოკუეთუ არა კაცი იყო, **სუმეონ** ვინ მიიქუა მკლავთა თვსთა ზედა (ლუკ. 2,28), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ვის ეტყოდა: «აწ განმიტვევ მე მშვლობით» (ლუკ. 2,29)? უკუეთუ არა კაცი იყო, **იოსებ** ვინ წარიყვანა **ფკპტედ** (მთ. 2,14), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ვის ზედა აღესრულოს, ვითარმედ: «**ფკპტით** უწოდი ძესა ჩემსა» (მთ. 2,15)? უკუეთუ არა კაცი იყო, **იოჰანე** ვის ნათელ-სცა (მთ. 3,16), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, მამამან ზეცით ვის კმა-უყო: «ესე არს ძე ჩემი საყუარელი» (მთ. 3,17)? უკუეთუ არა კაცი იყო, ვინ იმარხვიდა უდაბნოსა და შეეშმა მას (მთ. 4,2), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ანგელოზნი ვისა მსახურებად გარდამოვდეს? უკუეთუ არა კაცი იყო, ვის მიჰხადეს ქორწილსა მას კანას გალილეადსასა (ინ. 2,2), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, წყალი იგი ღვინოდ ვინ გარდააქცია (ინ. 2,9)?

ოკუეთუ არა კაცი იყო, ვის აქუნდეს კელთა კუეზანი იგი, და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ზუთ ათასნი იგი უდაბნოსა ზედა ვინ განაძღნა მცირედითა პურითა (მთ. 14,15-21)? უკუეთუ არა კაცი იყო, ნავსა მას შინა ვის ეძინა, და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ქართა მათ და ზღუათა ვინ შეჰრისხნა (მთ. 8,23-26)? უკუეთუ არა კაცი იყო, **სიმონ** ფარისეველი ვისი-მე პურის-მტე იყო, და უკუეთუ არა ღმერთი იყო, დედაკაცსა მას ცოდვილსა ვინ მიუტვენა შეცოდებანი (ლუკ. 7,36-48)? უკუეთუ არა კაცი იყო, ვინ უკუე ჯდა ზედა ლაკუასა მას, და უკუეთუ არა ღმერთი იყო, წყალსა ცხორებისასა ვინ მისცემდა სამარიტელსა მას დედაკაცსა (ინ. 4:6,15)? უკუეთუ არა კაცი იყო, კაცობრივი იგი სამოსელი ვის ემოსა, და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ძალთა მათ ვინ იქმოდა, ანუ ვითარ გამოვი-

დოდეს სამოსლისა მისისაგან (მთ. 9, 20-22; მრკ. 5,27-30; ლუკ. 8,43-48)?

ოკუეთუ არა კაცი იყო, ვითარ ჰნერწყუა ქუეყანასა, და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ვინ თივისაგან შეჰმზადნა თუალნი მხედველნი (ინ. 9,6-7)? უკუეთუ არა კაცი იყო, **ლასარტს** საფლავსა თანა ვინ ცრემლოდა, და უკუეთუ არა ღმერთი იყო, მკუდარი იგი ოთხისა დღისა ვისითა ბრძანებითა გამოვიდა (ინ. 11:35,44)? უკუეთუ არა კაცი იყო, კიცუსა ვინ დაჯდა, და უკუეთუ არა ღმერთი იყო, სიმრავლმ ერისაჲ ვისა მიგებებად განვიდოდა და ყრმათა პირი ვინ აღალო გალობად (მთ. 21:7,8,15)? უკუეთუ არა კაცი იყო, **ჰურიათა** ვინ შეიპყრეს (მთ. 27,2; მრკ. 15,1; ლუკ. 23,1; ინ. 18,28), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ვინ უბრძანა ქუეყანასა და დასცნა იგინი პირსა ზედა თვსსა? უკუეთუ არა კაცი იყო, წინაშე **პილატტსა** საშჯელად ვინ წარდგომილ იყო (მთ. 27,2; მრკ. 15,1; ლუკ. 23,1; ინ. 18,28), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ცოლსა მას **პილატტსსა** ძილსა შინა ვინ შეაშინა (მთ. 27,19)?

ოკუეთუ არა კაცი იყო, ყურიმლის-ცემად ვინ მიითუალა (მთ. 26,67; მრკ. 14,65; ინ. 18,22; 19,3), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ყური იგი, რომელ წარჰკუეთა **პეტრე**, ვინ განკურნა და მიაგო ადგილსაჲ თვსსა (ლუკ. 22,51)? უკუეთუ არა კაცი იყო, ნერწყუად იგი პირისაჲ ვინ თავს-იდვა (მთ. 26,67; 27,30; მრკ. 15,29), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, სული წმიდაჲ მოწაფეთა პირსა ვინ შთაჰბერა (ინ. 20,22)? უკუეთუ არა კაცი იყო, მკედართა ვინ განძარცუეს და განიყვეს სამოსელი მისი (მთ. 27,35; მრკ. 15,24; ლუკ. 23,34; ინ. 14,23), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ვითარ დაბნელდა მზე ჯუარ-ცუმასა მისსა (მთ. 27,45; მრკ. 15,33; ლუკ. 23,45)? უკუეთუ არა კაცი იყო, ჯუარსა ზედა ვინ დამოეკიდა (მთ. 27,35; მრკ. 15,24-25; ლუკ. 23,33; ინ. 19,18), და უკუეთუ ღმერთი არა იყო, ქუეყანად საფუძველითურთ თვსით ვინ შეძრა (მთ. 27,51)? უკუეთუ არა კაცი იყო, სამშტუალთა ვისნი კელნი და ფერკნი შემშტუალნეს (ინ. 20,25), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, კრელსაბმელი იგი და კლდენი ვითარ განსთქდეს (მთ. 27,51; მრკ. 15,38; ლუკ. 23,45)?

ოკუეთუ არა კაცი იყო, ლახუარი იგი ვისსა გუერდსა შვეიდა, და გამოვდა სისხლი და წყალი (ინ. 19,34), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ჯოჯობითი ვისისა კმისაგან შეძრწუნდა (მთ. 27,51-53)? უკუეთუ არა კაცი იყო, ძმარი და ნავდელი ვის ასუეს (მთ. 27:34,48; მრკ. 15,36; ლუკ. 23,36; ინ. 19,29-30), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, მკუდარ-



ნი იგი შეწყდომილნი ვისითა უკუე ბრძანებითა გამოვიდეს (მთ. 27,52)? უკუეთუ არა კაცი იყო, ვისა მიმართ ვმა-ყო: «ღმერთო, ღმერთო ჩემო, რასა დამიტევებ მე» (მთ. 27,46; მრკ. 15,34), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ვინ თქუა, თუ: «მამაო, მიუტევე ამათ» (ლუკ. 23,34)? უკუეთუ არა კაცი იყო, ჯუარსა ზედა ავაზაკთა შორის ვინ დამოკიდებულ იყო (მთ. 27,38; მრკ. 15,27), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, «დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა» ვინ თქუა (ლუკ. 23,43)? უკუეთუ არა კაცი იყო იგი, **იოსებ** და **ნიკოდემოს** ვინ შეეძურეს და დაჰმარხეს (მრკ. 15,43-46; ინ. 19,38-40), და უკუეთუ არა ღმერთი იყო, მესამესა დღესა ვინ აღდგა (მთ. 28, 6; მრკ. 16, 6; ლუკ. 24, 6)?

უკუეთუ არა კაცი იყო, ქორსა მას ზედა **სიონისასა** ვინ განიხილეს მოციქულთა, და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ვითარ უკუე შევიდა კართა ხშულთა (ინ. 20:19,26)? უკუეთუ არა კაცი იყო, ზღუასა მას ზედა **ტიბერიისასა** ვინ ჭამა, და უკუეთუ არა ღმერთი იყო, ბადენი იგი ვისითა ბრძანებითა აღიესნეს (ინ. 21,1-15)? უკუეთუ არა კაცი იყო, მოციქულთა და ანგელოზთა ვინ უკუე იხილეს აღმადღებულნი ღრუბელთა ზედა, და უკუეთუ არა

ღმერთი იყო, ცამან და ქუეყანამან ვის თაყუანის-სცეს? უკუეთუ არა კაცი იყო, ვსნად ჩუენი ვიდრემე ტყუვილ არს, და უკუეთუ არა ღმერთი იყო, სასოებად ჩუენი ვიდრემე ამაო არს?

5     სრამედ ღმერთი არს და ღმრთისაგანი, და ვსნად ჩუენი ჭეშმარიტ არს, და ძე კაცის იქმნა და კორციელ იქმნა ასულისაგან კაცისა და ძმ არს მხოლოდ განუყოფელი და ერთი პირი განუშორებელი, და მას უწოდა მამამან ზეცით და თქუა: «ეგე არს ძმ ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ, მაგისი ისმინეთ». ოა ეკლესიამან ესრტთ შეიწყნარა, ერთი არს მამად მხოლოდ და ერთი არს ძმ მხოლოდ და ერთი არს სული წმიდად მხოლოდ. ოა ამით სამითა სახელითა შეიწყნარა ეკლესიამან 15 იესუმსგან და მით ნათელ-სცემს ეკლესიად ცხორებად საუკუნოდ და ამით აღიარებს განუშორებელად და მას თაყუანის-სცემს უცთომელად. ოა რაჟამს ძემან კორცნი შეისხნა, არარად შეეძინა სამებასა, ერთი არს პირი მამისად ფარულად და 20 ერთი არს პირი ძისად და ერთი არს პირი სულისა წმიდისად, და მისა არს დიდებად უკუენითი უკუენისამდე. ომენ.

